

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2019 წლის 24 დეკემბერი

ქ. ახმეტა

ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი“ დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 3

დადგენილების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2021 წლის 1 იანვრამდე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თამარ ყვინიშვილი

დანართი

თავი I

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი სახით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	11,980.9	17,822.0	10,200.5	7,621.5	11,018.0	11,018.0	-
გადასახადები	2,242.2	8,310.6	8,310.6	-	10,032.0	10,032.0	-
გრანტები	8,831.7	8,532.2	910.7	7,621.5	150.0	150.0	-
სხვა შემოსავლები	907.0	979.2	979.2	-	836.0	836.0	-
II. ხარჯები	7,377.1	8,784.9	8,599.2	185.7	9,409.0	9,409.0	-
შრომის ანაზღაურება	1,578.8	1,794.8	1,794.8	-	1,883.5	1,883.5	-
საქონელი და მომსახურება	803.6	1,181.6	995.9	185.7	1,152.5	1,152.5	-
პროცენტი	70.7	211.2	211.2	-	117.0	117.0	-



სუბსიდიები	4,475.9	5,103.8	5,103.8	-	5,599.5	5,599.5	-
გრანტები	12.5	52.0	52.0	-	65.0	65.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	336.7	379.6	379.6	-	427.5	427.5	-
სხვა ხარჯები	98.9	61.9	61.9	-	164.0	164.0	-
III. საოპერაციო სალდო	4,603.8	9,037.1	1,601.3	7,435.8	1,609.0	1,609.0	-
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,875.2	11,561.1	1,444.8	10,116.3	1,466.0	1,466.0	-
ზრდა	2,896.9	11,661.1	1,544.8	10,116.3	1,516.0	1,516.0	-
კლება	21.7	100.0	100.0		50.0	50.0	
V. მთლიანი სალდო	1,728.5	2,524.0	156.5	- 2,680.5	143.0	143.0	-
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	1,728.5	- 2,610.5	70.0	- 2,680.5	-	-	-
ზრდა	-	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	-	-			-		
კლება	- 1,728.5	2,610.5	- 70.0	2,680.5	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	- 1,728.5	2,610.5	- 70.0	2,680.5	-	-	-
VII. ვალდებულებების ცვლილება	-	- 86.5	- 86.5	-	- 143.0	- 143.0	-
კლება	-	86.5	86.5	-	143.0	143.0	-
საშინაო	-	86.5	86.5	-	143.0	143.0	-
სესხები	-	86.5	86.5		143.0	143.0	
VIII. ბალანსი	0.0	- 0.0	- 0.0	0.0	0.0	0.0	-

მუხლი 2. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	12,002.6	17,922.0	10,300.5	7,621.5	11,068.0	11,068.0	-
შემოსავლები	11,980.9	17,822.0	10,200.5	7,621.5	11,018.0	11,018.0	-
არაფინანსური აქტივების კლება	21.7	100.0	100.0		50.0	50.0	-



არაფინანსური აქტივების კლება	21.7	100.0	100.0		50.0	50.0	-
გადასახდლები	10,201.2	20,532.5	10,230.5	10,302.0	11,068.0	11,068.0	-
ხარჯები	7,304.3	8,784.9	8,599.2	185.7	9,409.0	9,409.0	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,896.9	11,661.1	1,544.8	10,116.3	1,516.0	1,516.0	-
ვალდებულებების კლება	-	86.5	86.5	-	143.0	143.0	-
ნაშთის ცვლილება	1,801.4	- 2,610.5	70.0	- 2,680.5	-	-	-

მუხლი 3. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 11018.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	11,980.9	17,822.0	10,200.5	7,621.5	11,018.0	11,018.0	-
გადასახადები	2,242.2	8,310.6	8,310.6	-	10,032.0	10,032.0	-
გრანტები	8,831.7	8,532.2	910.7	7,621.5	150.0	150.0	-
სხვა შემოსავლები	907.0	979.2	979.2		836.0	836.0	

მუხლი 4. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 10032.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	2,242.2	8,310.6	8,310.6	-	10,032.0	10,032.0	-
საშემოსავლო გადასახადი	366.6	-	-	-			
დამატებითი ღირებულების გადასახადი	-	6,585.6	6,585.6		8,232.0	8,232.0	
ქონების გადასახადი	1,875.6	1,725.0	1,725.0	-	1,800.0	1,800.0	-
საქართველოს საწარმოთა	1,231.6	1,245.0	1,245.0		1,290.0	1,290.0	



ქონებაზე (გარდა მიწისა)							
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	-	-	-	-	-	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	7.4	-	-	-	-	-	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	573.7	444.0	444.0	474.0	474.0		
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	62.9	36.0	36.0	36.0	36.0		

მუხლი 5. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 150,0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
გრანტები	8,831.7	8,532.2	150.0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	-		
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	8,831.7	8,532.2	150.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	4,988.5	-	
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	130.0	910.7	150.0
კაპიტალური ტრანსფერი	3,713.2	7,621.5	

მუხლი 6. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 836.0 ათასი ლარის ოდენობით

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
სხვა შემოსავლები	907.0	979.2	836.0
შემოსავლები საკუთრებიდან	662.4	747.2	600.0
პროცენტები	67.0	50.5	40.0
რენტა	595.4	696.7	560.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	82.4	72.0	76.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	32.3	32.0	36.0



სანებართვო მოსაკრებელი	4.8	12.0	16.0
მოსაკრებელი მშენებლობის ნებართვის დაჩქარებისათვის	3.4	-	
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	24.1	20.0	20.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	50.1	40.0	40.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	152.6	160.0	160.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	9.6	-	-

მუხლი 7. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 9409,0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა			2020 წლის პროექტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	7,306.1	8,784.9	8,599.2	185.7	9,409.0	9,409.0	-
შრომის ანაზღაურება	1,578.8	1,794.8	1,794.8	-	1,883.5	1,883.5	-
საქონელი და მომსახურება	803.6	1,181.6	995.9	185.7	1,152.5	1,152.5	-
პროცენტები	70.7	211.2	211.2	-	117.0	117.0	-
გრანტები	12.5	52.0	52.0	-	65.0	65.0	-
სუბსიდიები	4,404.9	5,103.8	5,103.8	-	5,599.5	5,599.5	-
სოციალური უზრუნველყოფა	336.7	379.6	379.6	-	427.5	427.5	-
სხვა ხარჯები	97.0	61.9	61.9	-	164.0	164.0	-

მუხლი 8. ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 1466,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვროს 1516,0 ათასი ლარის ოდენობით, შემდეგი სახით:

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
------------	--	-----------------	-----------------	-------------------



01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	115.3	92.6	29.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	115.3	92.6	29.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	2,096.4	7,527.0	668.9
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1,600.3	6,221.8	433.7
02 02	წყლის სისტემების განვითარება	447.3	394.2	122.6
02 03	გარე განათება	12.2	179.8	45.0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	28.2	-	33.8
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	8.4	731.2	-
02 07	ტურიზმი	-	-	33.8
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	240.1	1,901.1	254.9
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	-	3.3	-
03 02	გარემოს დაცვა	0.1	5.2	39.0
03 03	კაპიტალური დაბანდებები გარემოს დაცვის სფეროში	240.0	1,892.6	215.9
04 00	განათლება	247.2	1,377.7	434.5
04 01	სკოლამდელი დაწესებულებები	247.2	787.7	434.5
04 02	ზოგადი განათლება	-	590.0	-
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	111.9	39.6	107.7
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	85.0	18.2	49.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	26.9	21.4	55.0
05 04	საინფორმაციო ცენტრი	-	-	3.7
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	30.0	475.9	21.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0.8	475.4	6.0
06 02	სოციალური დაცვა	29.2	0.5	15.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	2,840.8	11,413.9	1,516.0

ბ) არაფინანსური აქტივების კლება განისაზღვროს 50,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
არაფინანსური აქტივების კლება	21.7	100.0	50.0
ძირითადი აქტივები	1.0	-	-
არაწარმოებული აქტივები	20.7	100.0	50.0



მიწა	20.7	100.0	50.0
------	------	-------	------

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქც. კოდი	დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,258.0	2,773.5	2,903.4
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,187.2	2,475.3	2,637.2
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,187.2	2,414.8	2,512.7
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	60.5	124.5
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	70.8	298.2	260.0
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში			6.2
7.2	თავდაცვა	79.6	98.9	104.1
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	79.6	98.9	104.1
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	1,600.3	6,221.8	519.5
7.4.5	ტრანსპორტი	1,600.3	6,221.8	433.7
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,600.3	6,221.8	433.7
7.4.7	ეკონომიკის სხვა დარგები			85.8
7.5	გარემოს დაცვა	975.9	2,753.2	1,231.2
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	419.1	504.8	626.0
7.5.2	ჩამდინარე წყლების მართვა	1.4	3.0	24.3
7.5.3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	555.5	2,245.4	580.9
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	869.2	1,200.2	940.7
7.6.1	ბინათმშენებლობა	4.2	-	-
7.6.3	წყალმომარაგება	501.4	394.2	502.9
7.6.4	გარე განათება	335.3	377.2	404.0



7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	28.3	428.8	33.8
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	71.5	554.2	98.8
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	71.5	554.2	98.8
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	711.6	1,644.1	1,801.7
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	656.5	714.9	789.0
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	15.1	874.8	950.7
7.8 3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	39.9	54.4	62.0
7.9	განათლება	1,806.6	3,644.6	2,614.5
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	1,806.6	2,868.9	2,614.5
7.9 2	ზოგადი განათლება	-	775.7	-
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება	-	775.7	-
7 10	სოციალური დაცვა	685.1	770.4	854.1
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	102.0	129.4	135.0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	583.1	641.0	719.1
	სულ	9,057.7	19,660.9	11,068.0

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო და საოპერაციო სალდო

დასახელება	2017წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
საოპერაციო სალდო	4,603.8	9,037.1	1,609.0
მთლიანი სალდო	1,728.5	- 2,524.0	143.0

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი
------------	----------------	-----------------	-------------------



ფინანსური აქტივების ცვლილება	1,728.5	-	2,610.5	-
ზრდა	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	-	-	-
კლება	-	1,728.5	2,610.5	-
ვალუტა და დეპოზიტი	-	1,728.5	2,610.5	-

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -143.0 ათასი ლარის ოდენობით.

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 143.0 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2019 წლის გეგმა	2020 წლის პროექტი
ვალდებულებების კლება	0.0	0.0	143.0
საშინაო	0.0	0.0	143.0
სესხები	0.0	0.0	143.0
სხვა კრედიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0

თავი II

ახმეტის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები და ქვეპროგრამები 2020-2023 წლებისათვის

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- v. საინვესტიციო გარემოსა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- v. სკოლამდელი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის ამაღლება;
- v. კულტურის ა დასპორტის განვითარება, რელიგიური რწმენის თავისუფლება და ახლგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- v. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- vi. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების განმტკიცება.

1. ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური



ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის პროექტი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	1,460.2
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	433.7
02 02	წყლის სისტემების განვითარება	502.9
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	52.6
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	80.0
02 02 03	ა(ა)იპ – სოფლის სასმელი წყლის მოვლა-პატრონობის ცენტრი	370.3
02 03	გარე განათება	404.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	250.0
02 03 02	კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში	-
02 03 03	ა(ა) იპ კეთილმოწყობისა და გარე განათების სასმასხური	154.0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	33.8
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია	33.8
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	-
02 07	ტურიზმი	85.8
02 07 01	ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა	33.8
02 07 02	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	52.0

ა. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება, ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, რაც გააუმჯობესებს არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურას. დაზიანებული ქვაფენილების და ტროტუარების აღდგენა-რეაბილიტაცია და მოპირკეთება ასფალტო-ბეტონის საფარით.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება და ქალაქის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

ბ. წყლის სისტემების განვითარება

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია, აგრეთვე არსებული სისტემის



მოვლა-შენახვა. განხორციელდება სოფლების ჭაბურღილების ენერგო სისტემების მოწყობა და რეგიონალური პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების თანადაფინანსება. ასევე დაფინანსებული იქნება ჭაბურღილებზე მოხმარებული ელ. ენერჯის გადასახადი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა.

გ. გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება. ქალაქისა და სოფლების ქუჩების ახალი ქსელების მოწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელებზე გახარჯული ელექტრო-ენერჯის საფასურის გადახდა. გარე განათების მოვლა პატრონობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ – „კეთილმოწყობისა და გარე განათების სამსახური“.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- განათებული ტერიტორია

დ. კეთილმოწყობის ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების კეთილმოწყობის ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება

2. დასუფთავება და გარემოს დაცვა

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის პროექტი
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,231.2
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	626.0
03 02	გარემოს დაცვა	389.3
03 02 01	თუშეთის დაცული ლანდშაფტი	199.3
03 02 02	ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-ტარონობის ცენტრი	190.0
03 03	კაპიტალური დაზანდებები გარემოს დაცვის სფეროში	215.9
03 03 01	სანიაღვრე არხების მოწყობა	24.3
03 03 03	სპეც. ტექნიკისა და ინვენტარის შეძენა	142.0
03 03 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	49.6

ა. დასუფთავება და ნარჩენების გატანა

მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად მოხდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა.



დაიგვება ქალაქის ქუჩები, სკვერები. განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისაგან განთავისუფლება.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ტერიტორიის დასუფთავების და ნარჩენების გატანის ინტენსიურობის ზრდა.

ბ. თუშეთის დაცული ლანდშაფტი

ახმეტის მუნიციპალიტეტი ქვეყანაში ერთადერთი მუნიციპალიტეტია, რომელიც მართავს დაცულ ტერიტორიას, კერძოდ თუშეთის დაცულ ლანდშაფტს – 32000 ჰა ტერიტორიას, აქედან 5029 ჰას შეადგენს ტყე, რომელსაც ასევე მართავს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერია, რაც ასევე არის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი პრევენდენტი, ტყის მუნიციპალური მმართველობისა. თუშეთის, თავისი მასშტაბით მუნიციპალიტეტის ამ უდიდესი სივრცის სამართავად არის შექმნილი ა(ა)იპ. „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია“, რომლის მენეჯმენტ-გეგმაც დამტკიცებულია მთავრობის დადგენილებით და მასში განსაზღვრულია შემდეგი ამოცანები: თუშეთის ისტორიული დასახლებების ტრადიციული იერსახის შენარჩუნება, დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე სივრცითი დაგეგმარების სისტემის შემუშავება, ადგილობრივი მოსახლეობისათვის საშემე და სამასალე მერქნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ტყის მავნებლების გამრავლებისა და ხანძრების თავიდან აცილების ეფექტური სისტემების შემუშავება, ტრადიციული სასოფლო – სამეურნეო საქმიანობის განვითარების პოტენციალის შესწავლა, თუშეთში მუდმივმაცხოვრებელი მოსახლეობის მოტივირება, საძოვრების მდგრადი მართვის სისტემის შექმნა, ძირითადი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, თუშეთის ენდემური მცენარეული კულტურებისა და ცხოველთა ჯიშების დაცვის სტრატეგიის შემუშავება, დაცულ ლანდშაფტში გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობების სტაბილური რაოდენობის უზრუნველყოფა. ვინაიდან, ზემოაღნიშნულ ამოცანათა გადასაჭრელად ადმინისტრაციის საბაზისო ბიუჯეტი საკმარისი არ არის, საჭირო ღონისძიებათა უდიდესი ნაწილი ფინანსდება საერთაშორისო ფონდებისა და გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მიერ, აღნიშნულ პროექტებში ახმეტის მერიის კონტრიბუცია შეადგენს მხოლოდ საჭირო თანხის 5-10 %-ს. რადგანაც ახმეტის მერიის ბიუჯეტის სიმწირე, ხშირად არ იძლევა კონტრიბუციის დაფინანსების საშუალებას, ა(ა)იპ – „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ სტრატეგიას წარმოადგენს საკუთარი სახსრების მოზიდვა მისი წესდებით ნებადართული საქმიანობით: სატყეო მომსახურება, ეროვნულ პარკში შესასვლელი ნებაყოფლობითი გადასახადის დაწესება და ა.შ. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ სარგებელი რომელსაც ახმეტის მუნიციპალიტეტს და მის მოსახლეობას მოუტანს ა(ა)იპ – „თუშეთის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ გამართული მუშაობა, არ გამოიხატება ციფრობრივ-რაოდენობრივი ინდიკატორებით, არამედ უნდა შეფასდეს ხარისხობრივი – გარემოსდაცვითი ინდიკატორებით.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- თვითმყოფადი ისტორიულ- კულტურული გარემოს შენარჩუნება,
- ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა
- მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება.

გ. ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-ტარონობის ცენტრი

ორგანიზაცია ახორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის ტყე-პარკებისა („წყაროების“, „ბახტიონის“, „შვეიცარიის“, „ხორხლის“) და სასაფლაოებზე მისასვლელი ბილიკების დაგვა და დასუფთავებას, გამწვანებას, ამორტიზირებული ხეების მოჭრას, უპატრონო მიცვალებულებისათვის გამოყოფილი ადგილის დასუფთავებას. ხდება ტყე-პარკი „წყაროების“ ტერიტორიის შენობა -ნაგებობების მოვლა-პატრონობა, რეგულარული დაგვა-დასუფთავება და გამწვანება. ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახების სხვადასხვა სახის დახმარება, (სახურავის შერემონტება, შემით დახმარება). ხდება ტყე პარკ „წყაროების“ წელიწადში 3-4 ჯერ გათიბვა, გაწმენდა ეკალ-ბარდისგან, სეზონზე ყოველდღიურად დაგვა-დასუფთავება მთელ ტერიტორიაზე. ტყე-პარკ „ბახტიონის“ გაწმენდა ბალახისა და ჯაგნარისაგან გაზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე. შედარებით ნაკლები სამუშაოების ჩატარება ხდება



ტყე-პარკ „შვეიცარიასა“ და ტყე-პარკ „ ხორხელში“. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ახმეტის 3 და 1 საბეროს სასაფლაოების ყოველ გაზაფხულზე, შუა ზაფხულსა და გვიან შემოდგომაზე გათიბვა, გაწმენდა ეკალ -ბარდისგან.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მუნიციპალიტეტში არსებული ტყე-პარკებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობა.

სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია ექსპლოატაცია

გათვალისწინებულია სოფლების სარწყავი ქსელების მოწყობის, რეაბილიტაციისა ხარჯები.

სანიაღვრე არხების მოწყობა

საჭიროებისამებრ სისტემატიურად გაიწმინდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, როგორც რკინა-ბეტონის ასევე გრუნტის სანიაღვრე არხები..

სპეც. ტექნიკის და ინვენტარის შეძენა

გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის საჭიროებისათვის სასოფლო სამეურნეო მანქანების შეძენის, ტრაქტორის კაპიტალური შეკეთებისა და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯები.

3. განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის პროექტი
04 00	განათლება	2,614.5
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,201.3
04 01 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	413.2

ა. სკოლამდელი განათლება

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 36 საბავშვო ბაღი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს არსებული მუნიციპალური სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, ახალი ბაღების მშენებლობას, ასევე ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვების მეთვალყურეობა, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლების დონის განსაზღვრა, შესაბამისი პროგრამების, სასწავლო და მეთოდური მასალების განსაზღვრა. ბავშვთა სრულფასოვანი კვების ორგანიზება.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:



- გაუმჯობესებული საადმინისტრაციო პირობები;
- ფიზიკურად ჯანმრთელი, სრულყოფილი, ფსიქოლოგიურად გაწონასწორებული მომავალი თაობის აღზრდა.
- 36 საბავშვო ბაღი მოემსახურება 1500-მდე ბავშვს; დასაქმებული იქნება 443 ადამიანი, აქედან 69-მდე მასწავლებელი.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მომავალი თაობის მზადყოფნა სკოლაში შესასვლელად.
- მოსწავლეთა და მშობელათა კმაყოფილების დონის ზრდა.

2. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული მონაცემების გამოვლინება. გარდა ამისა მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელდება ბიბლიოთეკების, მუზეუმების, ხელოვნების სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2020 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,801.7
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	789.0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	667.5
05 01 01 01	სპორტული ცენტრის ხელშეწყობა ა(ა)იპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა	323.5
05 01 01 02	ძიუდოს განვითარების ხელშეწყობა ა(ა)იპ – ზ. ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სასპორტო სკოლა	189.5
05 01 01 03	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა ა(ა)იპ – საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“	154.5
05 01 01 04	ქალთა სპორტის განვითარება	-
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	96.5
05 01 03	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	25.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	885.7
05 02 01	კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ხელშეწყობა ა(ა)იპ – კულტურის ცენტრი	485.0
-	-	-
05 02 01 02	ა(ა)იპ – სამუსიკო სკოლების გაერთიანება	160.7
05 02 01 03	ა(ა)იპ – მამიაურის სახელობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა	210.0
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	30.0
05 02 03 02	კლუბები	30.0



05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	65.0
05 04	საინფორმაციო ცენტრი	62.0

ა. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. გათვალისწინებულია სტადიონების და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2020 წლის განმავლობაში დაფინანსდება სამი სპორტული სკოლა, ესენია:

- ა(ა)იპ – სკოლისგარეშე სპორტული დაწესებულება ახმეტის საფეხბურთო სკოლა „ბახტრიონი“;
- ა(ა)იპ-სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება ახმეტის „კომპლექსური სასპორტო სკოლა“;
- ა(ა)იპ – სკოლისგარეშე სასპორტო-საგანმანათლებლო დაწესებულება – ახმეტის ზურაბ ზვიდაურის სახელობის მიუდოს სასპორტო სკოლა.

სკოლებში ფუნქციონირებს მიუდოს, თავისუფალი, ბერძნულ-რომაულის, მკლავჭიდის, ფეხბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ჩოგბურთის, კინბოქსის, რაგბის სექციები და აღნიშნულ სექციებში ჩართულია 700-მდე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- სპორტული ღონისძიებებისა და სრულყოფილი სასპორტო- საგანმანათლებლო ღონისძიებების ხელშეწყობა;
- მოსახლეობაში დანერგილი ცხოვრების ჯანსაღი წესი;
- ბავშვებისა და მოზარდების სპორტულ ცხოვრებაში აქტიური ჩაბმა;
- სპორტის სხვადასხვა სახეობებში ადგილობრივ და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სპორტის სხვადასხვა სახეობაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა რაოდენობის ზრდა;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელ სექტორში ჩართული ახალგაზრდობის რაოდენობის ზრდა.

ბ. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მოსახლეობის კულტურული აღზრდა და მათი ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კულტურის სფეროში წარმატებების მიღწევა.

გ. ა(ა)იპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ადმინისტრაციის ხარჯები



მოხდება ადმინისტრაციის შესანახი ხარჯებისა და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების დაფინანსება კერძოდ, დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული 8 ბიბლიოთეკა, სადაც დაცულია 133688 ცალი წიგნი, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ინიციატივით მიმდინარეობს მუშაობა ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნაზე.

დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურის სახლები (ქ.ახმეტის, ქისტაურის, ოჟიოს, ქვ.ალვანის, ზ.ალვანის, მატნის, საკობიანოს, დუისის, ჯოყოლოს, ომალოს). ვეპროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმების მოვლა პატრონობის ხარჯების დაფინანსებას.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამი მუზეუმი:

1, რაფიელ ერისთავის სახლ მუზეუმი, 2. ახმეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 3. პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმი.

აღნიშნული მუზეუმებისათვის სისტემეტიურად ხდება სამუზეუმო ექსპონატების მოძიება-მატება, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ქრონოლოგიური პერიოდულობით დალაგება და კლასიფიკაცია.

დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ყველა ისტორიული ეპოქის 400-ზე მეტი ისტორიული ძეგლის მოვლა-პატრონობის ხარჯები.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი „ბახტრიონი“ და ანსამბლი „პანკისი“.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არსებული წიგნის ფონდის შენარჩუნება და განახლება
- მკითხველისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა
- მოსახლეობის კულტურული აღზრდა და მათი ჩართულობა კულტურულ ღონისძიებებში

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- მკითხველთა რაოდენობის ზრდა.
- კულტურის სფეროში წარმატებების მიღწევა.

დ. კლუბები (პროგრამული კოდი 05 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქვ.ალვანის კულტურის სახლში მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის გამოყოფილი ფართის რეაბილიტაცია.

ე. სახელოვნებო და მუსიკალური სკოლები.(პროგრამული კოდი 05 02 07)

პროგრამა ითვალისწინებს სახელოვნებო ორგანიზაციებში შემოქმედებითი აზროვნების დანერგვა-ხელშეწყობას. ხალხური შემოქმედების, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას.

აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ორი სახელოვნებო სკოლა ესენია:

- ა(ა)იპ – „სამუსიკო სკოლების გაერთიანება“, რომელსაც აქვს ფილიალები სოფლებში: მატანი, დუისი, ზ. ალვანი, ქვ. ალვანი, სადაც ირიცხება 250-მდე მოსწავლე. სამუსიკო სკოლის მიზანია ეზიარონ ახალგაზრდები მუსიკალური ხელოვნების საფუძვლებს, მოხდეს მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბება, ასევე მოხდეს მუსიკალური ხელოვნების სფეროში ინდივიდუალური შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობა, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა და შენარჩუნების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ასევე ხელი შეეწყობა ქართული ფოლკლორისა და ქართული სიმღერების შესწავლას. დაფინანსდება სამუსიკო სკოლების



გაერთიანებასთან არსებული ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ჯვარი ვაზისა“

- ა(ა)იპ „ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი სკოლა“ რომელიც ემსახურება მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას.

სკოლა ასევე უზრუნველყოფს მომავალი თაობების ცოდნის გაღრმავებას, სკოლაში არის სახელოვნებო წრეები, როგორცაა ხატვის, ჭადრაკის, ცეკვის, თიხის და გამოყენებითი ხელოვნების. სკოლაში ირიცხება 300-მდე ბავშვი. პროგრამაში გათვალისწინებულია უნარშეზღუდული ბავშვების ჩართვა, რაც უზრუნველყოფს მათ მომავალი პროფესიული ცოდნით, რადგან ისინი გარდა ფსიქოლოგიური განტვირთვისა შეისწავლიან რომელიმე პროფესიას, როგორცაა კერვა, ქარგვა, თექის დამზადება, თიხის დამუშავება და ა.შ. რაც მათი შემდგომი დამოუკიდებელი არსებობისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია. ამავე პროგრამაში შესაძლებელია ჩართული იყვნენ დიასახლისები, რომლებიც არ იღებენ სოციალურ დახმარებას და არც საპენსიო ასაკი აქვთ. აქ ისინი განერიდებიან მძიმე სოციალურ პრობლემებს და ასევე შეიძენენ განათლებას, რომელიც შეიძლება მათი შემოსავლის წყარო გახდეს.

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს სპორტული სექცია როგორცაა „კრივი“, სადაც მომზადებას გადის 35 ბავშვი.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- ნიჭიერი შემოქმედების აღმოჩენა-წარმოჩენა, შემოქმედებითი პროცესის ინტენსივობა;
- გაუმჯობესდება ოჯახების სოციალური და ეკონომიური მდგომარეობა;
- მომავალი თაობების ცოდნის გაღრმავება და მეორადი პროფესიის შეძენა

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული სახელოვნებო კონკერტების, გამოფენების, ადგილობრივი ღონისძიებების რაოდენობა;
- ხელოვანთა მიღწევები სხვადასხვა ასპარეზოზე და დადებითი გამოხმაურება მედიაში.

ვ. საინფორმაციო ცენტრი

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის გაზეთი „ბახტრიონი“.

მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

- მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტის საჭირობოროტო საკითხებზე.
- შედეგების შეფასების ინდიკატორები:
- აქტიური მოსახლეობა

ზ. ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება

